გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 115

2023 წლის 9 ივნისი

ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ

2023 წლის 22 მაისს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს N 01/1002 წერილი, რომლითაც წარმოდგენილია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის გეოგრაფიული ობიექტის სახელდების თაობაზე ოქმის ამონაწერი - თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წმ. გიორგის სახელობის „გორიჯვრის“ ეკლესიის ასასვლელისთვის ვაჟა აბრამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

ზემოთაღნიშნული წერილში მოხსენიებულ წმ. გიორგის სახელობის „გორიჯვრის“ ეკლესიის ასასვლელის, რომელიც მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომლის კოორდინატებია: სავარაუდო სიგრძე 1816 მეტრი; საწყისი კოორდინატები : X - 423676,735 Y – 4648129,373; საბოლოო კოორდინატები : X - 424173,624 Y – 4647332,975;ჩრდილოეთი - გორიჯვრის ქუჩა;აღმოსავლეთი - სოფელი პატარა გორიჯვარი; სამხრეთი - ტყის ზონა; დასავლეთი - დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები.

სახელდების თაობაზე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, აგრეთვე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების,

გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2023 წლის 10 მაისი N36 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობის შესაბამისად:

1. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წმ. გიორგის სახელობის „გორიჯვრის“ ეკლესიის ასასვლელს რომლის კოორდინატებია: სავარაუდო სიგრძე 1816 მეტრი;საწყისი კოორდინატები : X - 423676,735 Y – 4648129,373;საბოლოო კოორდინატები : X - 424173,624 Y – 4647332,975;ჩრდილოეთი - გორიჯვრის ქუჩა;აღმოსავლეთი - სოფელი პატარა გორიჯვარი; სამხრეთი - ტყის ზონა; დასავლეთი - დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები მიენიჭოს - „ვაჟა აბრამიშვილის“ სახელი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

სიტუაციური გეგმა



საპროექტო ქუჩა

N

ჩრდილოეთის მიმართულების მაჩვენებელი

წმ. გიორგის სახელობის „გორიჯვრის“ ეკლესიის ასასვლელის მახასიათებლები და კოორდინატები:

სავარაუდო სიგრძე 1816 მეტრი;

საწყისი კოორდინატები : X - 423676,735 Y – 4648129,373;

საბოლოო კოორდინატები : X - 424173,624 Y – 4647332,975;

ჩრდილოეთი - გორიჯვრის ქუჩა;

აღმოსავლეთი - სოფელი პატარა გორიჯვარი;

სამხრეთი - ტყის ზონა;

დასავლეთი - დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები.